ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის ოქმი N 5

2022 წლის 16 სექტემბერი, 12:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი - სხდომის (საბჭოს) თავმჯდომარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

გურამ ოქროპირიძე - საბჭოს **მდივანი,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ნინო რუხაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარის მოადგილე;

მაია გეგია - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე;

ელენე დუმბაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი;

ანა გოგოლაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;

მარიამ ზაქარიაშვილი - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ვახტანგ სურგულაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ელეონორა კაპანაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე;

ნინელი ფუტკარაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსი;

თათია ჩახვაშვილი - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;

ნინო წულაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

მამუკა ბალიაშვილი - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნოს უფროსი;

ნინო ჩიმაკაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2022- 2025 წლების სამოქმედო გეგმის დეტალური განხილვის დაგეგმვა;
2. ნოემბრის თვეში, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებების მიმოხილვა;
3. „ვარდისფერი ოქტომბერი"-ს ფარგლებში დასაგეგმი აქტივობების მიმოხილვა.

სხდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, **თინათინ ნიბლოშვილმა,** მისასალმებელი სიტყვით გახსნა. დამსწრეებს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გააცნო და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

საბჭოს წევრმა, **ნინო ჩიმაკაძემ,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის მზადების პროცესზე ისაუბრა. მან ყურადღება სამოქმედო გეგმაში არსებულ ხუთ ძირითად მიზანზე გაამახვილა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები მიმოიხილა. სხდომის თავმჯდომარემ, სამოქმედო გეგმის დეტალურად განხილვასთან დაკავშირებით უმოკლეს ვადებში სხდომა ჩანიშნა.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. საბჭოს წევრმა, **ნინო წულაძემ** გამოთქვა ინიციატივა, საზოგადოებაში სკრინინგის წახალისების მიზნით, მისთვის ერთგვარი კამპანიის სახის მიცემისა და მასში საბჭოს იმ წევრთა მონაწილეობაზე, რომელთაც სკრინინგი არასდროს ჩაუტარებიათ. აღნიშნული წინადადება მოიწონეს საბჭოს წევრებმა, რის შემდეგაც, სხდომის მონაწილეთა აქტიური მხარდაჭერით დაიგეგმა ღონისძიებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, **თინათინ ნიბლოშვილმა,** დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით ინიციატივა გამოთქვა, თბილისის რაიონულ გამგეობებში, გენდერული მიმართულებით მომუშავე საკოორდინაციო ჯგუფის წევრების ანგარიშების მოსმენის ნოემბრის თვეში, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის პარალელურად , სხვადასხვა უწყებების წარმომადგენელთა ჩართულობით გამართვასთან დაკავშირებით. აღნიშნული წინადადება მოისმინეს საბჭოს წევრებმა და თბილისის რაიონულ გამგეობებთან აქტიურ კომუნიკაციაზე შეთანხმდნენ.

სხდომის თავმჯდომარემ, დამსწრე საზოგადოებას დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით „ვარდისფერი ოქტომბერი"-ს ფარგლებში დასაგეგმი აქტივობები გააცნო.

თინათინ ნიბლოშვილმა ასევე გამოთქვა მოსაზრება, თბილისის მერიის მიერ პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, ბიუჯეტის გენდერული გადანაწილების შესახებ მოსმენის გამართვასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, **ნინელი ფუტკარაძემ** დამსწრე საზოგადოებას, წინა მოწვევის საკრებულოს პერიოდში, მერიის შესაბამის სამსახურებთან კომუნიკაციის პრაქტიკასთან დაკავშირებით გამოცდილება გაუზიარა. თავმჯდომარის წინადადება სხდომის მონაწილეებმა ერთხმად მოიწონეს.

სხდომის დასასრულს, საბჭოს თავმჯდომარემ, **თინათინ ნიბლოშვილმა**, საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას ნაყოფიერი სამუშაო დღისთვის მადლობა გადაუხადა და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: თინათინ ნიბლოშვილი

სხდომის მდივანი: გურამ ოქროპირიძე